

შპს „NEKTARI-2008”


2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35075	134587	76854	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	252781	131353	219505	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1027033	249873	74310	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	667114	301928	380298	
მ.შ. - მზა პროდუქცია	77996	75167	82272	
- სხვა	589118	226761	298026	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2268	621	27857	3.3.
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	282	281	298	
ძირითადი საშუალებები	752815	510193	458347	3.4.
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2737368	1328836	1237469	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	53410	63791	93233	3.5.
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1912	7887		
საგადასახადო ვალდებულებები	134013	1946		
გამოუმუშავებელი შემოსავალი	10	2		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	155052			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	594323			
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	938720	73626	93233	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	370520	49790	49790	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1428128	1205416	1094446	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1798648	1255206	1144236	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2737368	1328832	1237469	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1984271	818362	778824	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	344397	73626	93233	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2022 წ.

დირექტორები:  დ. დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.




საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	4319731	2816899	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	4313748	2815798	
- მომსახურების გაწევიდან	5983	1101	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3205010	-2019007	
საერთო მოგება	1114721	797892	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.7.
დასაქმებულთა ანაზღაურება	-168883	-178955	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-41343	-41958	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-31432		
იჯარის ხარჯი	-3466	-3250	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-228167	-198961	
სულ საოპერაციო ხარჯები	-473291	-423124	
საოპერაციო მოგება	641430	374768	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		-346	
მ.შ. - ფინანსური აქტივების			3.8.
- მარაგების		-346	
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-7212	14789	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	46699	46762	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	680917	435973	
მოგების გადასახადის ხარჯი	-68731	-19735	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	612186	416238	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვები			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	612186	416238	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1255206	1144236	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	320730		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-389474	-305263	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-5	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1798648	1255206	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2022 წ.

დირექტორები:  დ. დალაქიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "NEKTARI-2008"


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	482558	490308
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-1242880	-142520
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	660259	-290000
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-100063	57788
სავალუტო კურსის ეფექტი	551	-55
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	134587	76854
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	35075	134587

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2022 წ.

დირექტორები:



დ. დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



**2021 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „NEKTARI-2008“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2008 წლის 15 მაისს თელავის საგადასახადო ინსპექციის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 231288969, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თელავი, რუსთაველის ქუჩა, N 73. ხოლო ფაქტობრივი მისამართი - ქ. თელავი, ტაბიძის შესახვევი. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი (100%-იანი წილის მფლობელი) არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი დავითი დალაქიშვილი (პ.ნ. 20001002685), რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა უალკოჰოლო სასმელის ლიმონათის წარმოება. სხვა ეკონომიკური საქმიანობაა - პლასტმასის ნაწარმის ერთჯერადი ჭიქების წარმოება.

1.4. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 46 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებული შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;
- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	50	67 494
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	25 400	66 834
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9 563	212
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	62	31
დირჰამი ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	-	16
სულ:	35 075	134 587

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	31553	1790
ნედლეული და მასალები	486029	175308
საწვავი	6673	12051
ბოთლები	2121	1187
ტარა და ტარა-მასალები	678	678
დაუმთავრებელი წარმოება	7979	7966
მზა პროდუქცია	77996	75167
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	54084	27776
სულ:	667114	301923

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივი მოიცავს ანგარიშსწორებას საპენსიო სააგენტოსთან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეო ბით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეო ბით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
შენობები	114314	2497	6560	118376		6510	124885
ნაგებობები	24024	5216	1243	20051		1104	21155
დაუდგმელი მოწყობილობა	-53336		53336	0			0
მანქანა- დანადგარები	353462	154696	10728	209493	40422	26918	195989
ელექტროგადამცემის საშუალებები	213981	143929	2051	72103		8920	81023
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	23513	19265	645	4893	-254	-1023	4124
ელექტრო და მექანიკური ტექნიკა	3303	1661	146	1788	1444	320	664
ავეჯი	-2136	508	3588	944		108	1051
ინვენტარი	9483	1443	308	8347	537	3542	11352
სპეციალური ინსტრუმენტები	-19958	1821	21883	104	106	2	
მსუბუქი ავტომობილები	73499		519	74018	83666	24876	15228
იჯარით აღებული ქონების კუთვლილობა	12668	12668		0		1213	1213
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	0		76	76	(14 895.00)	-13309	1662
სულ:	752815	343705	101083	510193	111026	59180	458347

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.5. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

აღნიშნული მუხლი მოიცავს 2021 წლის დეკემბრის თვის გადასახდელს ხელფასებს საპენსიოს ჩათვლით.

3.6. ნეტო ამონაგები

2020-2021 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა უალკოჰოლო სასმელის - ლიმონათის და ერთჯერადი ჭიქების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2021 წელი	2020 წელი
დამხმარე მასალების დანახარჯები	10479	11273
საწარმოო დანიშნულების რემონტისა და საექსპლუატაციო ხარჯები	33488	30167
ტრანსპორტირების ხარჯები	38952	25500
მიწის ნაკვეთის ხარჯები	4426	1815
დიზაინერული მომსახურების ხარჯები		
აქციზური მარკების ხარჯი გაყიდულ პროდუქციაზე	460	599
საღარიბო აპარატურის დაკავშირებული ხარჯები	390	407
მზა პროდუქციის ტრანსპორტირება	59717	72802
დისტრიბუციის ტრანსპორტის სარემონტო დანახარჯები	8763	8568
გაზი, წყალი, დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	1280	970
საოფისე ინვენტარი	573	2562
საკანცელარიო ხარჯი	815	459
კომპიუტერის ხარჯები	0	27
დომენის ხარჯი (neqtari.ge)	25	25
ჰოსტინგის მომსახურება (neqtari.ge)	112	110
კომუნიკაციის ხარჯი		
პროგრამული მომსახურების ხარჯი		246
დაზღვევა	5820	5910
აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	6638	6064
უიმედო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	34161	11366
საგადასახადო ხარჯი	6360	5024
საბანკო მომსახურების ხარჯი	4843	1563
საფოსტო ხარჯი	262	288
ძირითადი საშუალებების რემონტისა და საექსპლუატაციო ხარჯი	6047	8739
საქველმოქმედო ხარჯები	0	1500
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4556	2978
სულ:	228167	198961

3.8. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

არასაოპერაციო მოგება ძს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	593.00
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	27191.00
ნაჩუქარი ქონება და გამოვლენილი ზედმეტობა	627.00
ნაპატიები ან გაუქმებული დავალიანება	1481.00
პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი	16826.00
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-4.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-15.00
სულ:	46699.00

3.9. სასამართლო დავები:

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 1 იანვრიდან 01 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 01 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.